საერთაშორისო კონფერენცია

„აღმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურული სივრცე“

ბათუმი, საქართველო

კონფერენციის ორგანიზატორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანაორგანიზატორი

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიწვევთ საერთაშორისო კონფერენციაზე „აღმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურული სივრცე“, რომელიც გაიმართება 2018 წლის 5-6 ოქტომბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე.

პლენარული მომხსენებლები: თინათინ მარგალიტაძე, ედით ქლუზი, ლინკოლნ მიტჩელი, ვასილ რუხაძე

კონფერენციის ინტერდისციპლინური კვლევითი მიმართულებებია:

1. **ენა და ენობრივი პოლიტიკა, ეროვნულობის იდეა**
2. **პოლიტიკა, წერა, იდეოლოგია, პოსტკოლონიური ტრანსლაცია.**
3. **იდენტობა, ლიტერატურა და თარგმანი - კლასიკიდან პოსტმოდერნამდე**
4. **თარგმანი პოსტკოლონიურ პარადიგმაში**
5. **ეთნიკური კონფლიქტები, საქართველო: კულტურა, ხელოვნება და პოსტკომუნისტური კულტურული მემკვიდრეობა**
6. **ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი აღმოსავლეთ ევროპის კულტურაში**
7. **ცენზურა და პოსტკოლონიური თარგმანი აღმოსავლეთ ევროპაში**

საერთაშორისო კონფერენციის მიზანია პოსტკოლონიური კულტურული პარადიგმის კვლევა აღმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურულ სივრცეში, კულტურათშორისი დიალოგის, კულტურათა ურთიერთგავლენების, ენისა და ენობრივი პოლიტიკის, ლიტერატურის, თარგმანის, კულტურათა ურთიერთმიმართების წარსულისა და თანამედროვეობისა და სხვა აქტუალური ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი თემების კვლევითი ტენდენციების გამოკვეთა, გაანალიზება, შეფასება და თანამედროვე კვლევის მეთოდების ურთიერთგაზიარება, ახალგაზრდა მკვლევართათვის კვლევითი დიაპაზონის გაფართოება, აგრეთვე - თანამედროვე მიმართულებებით სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა და პროფესიული ურთიერთკავშირის განვითარება.

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი

ედით ქლუზი, ვირჯინიის უნივერსიტეტი
ვასილი რუხაძე, ჯეიმსტაუნის ფონდი, პენსილვანიის უნივერსიტეტი
მარინე გიორგაძე ბსუ
თინათინ მარგალიტაძე თსუ
მანანა თანდაშვილი, გოეთეს უნივერსიტეტი, ფრანკფურტი
მარინე ბერიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ლინკოლნ მიტჩელი, კოლუმბიის უნივერსიტეტი
ბელა წიფურია ილიაუნი
ხათუნა ბერიძე ბსუ
იულია ტრუბიხინა, ჰანთერ კოლეჯი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი
რამაზ ქურდაძე თსუ
რამაზ ხალვაში ბსუ

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ გამოგზავნოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე შევსებული სარეგისტრაციო განაცხადი და 300 სიტყვიანი თეზისები 15-20 წუთიანი ინდივიდუალური მოხსენებების, ან პრეზენტაციისათვის. კონფერენციაზე იმუშავებს თემატური სექციები.

სარეგისტრაციო განაცხადისა და თეზისების გამოგზავნის ბოლო ვადაა 1 მაისი.

სამუშაო ენები– ქართული, რუსული, ინგლისური

ელფოსტა: beridze@bsu.edu.ge

შერჩეული მონაწილეებისათვის დაწესებულია სარეგისტრაციო გადასახადი:

- მოხსენებით გამომსვლელთათვის - 50 ლარი;
- თანაავტორობით გამომსვლელთათვის (ორი თანაავტორი) – 90 ლარი;
- დაუსწრებელი (სასტენდო) მოხსენებისთვის – 40 ლარი;
- დაუსწრებელი (სასტენდო) მოხსენებისთვის თანაავტორობით (ორი თანაავტორი) – 80 ლარი